

**მედია ყურაშვილი,**  
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ხელოვნების მენეჯმენტისა და კულტურის  
პოლიტიკის პროგრამის დოქტორანტი  
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი  
დოდო ჭუმბურიძე

**ალტერნატიული შემოქმედებითი პლატფორმები  
კულტურის სფეროში**  
(„წინანდლის პრემიის“ მაგალითზე)

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია საქართველოში ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში კულტურის სფეროში არსებული ალტერნატიული შემოქმედებითი პლატფორმებისა და დარგობრივი კონკურსების განვითარების საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება კი გამახვილებულია „წინანდლის პრემიაზე“, რომელიც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესითა და მართვის მოქნილი მოდელით გამოირჩევა. ცვლილებების მართვა კულტურის სფეროს მენეჯერის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. 2025 წელს გარე ფაქტორების შემოქმედების შედეგად, პროექტის მენეჯერებს კონკურსის ტრადიციულ ფორმატში, მათ შორის პრემიის პრეზენტაციის ნაწილშიც, მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება დასჭირდათ.

2024 წელს ჩატარებულმა „წინანდლის პრემიის“ შიდა კვლე-

ვამ მნიშვნელოვანი ინტელექტუალური გავლენა მოახდინა პროექტის მდგრადობის განმტკიცებაზე. პროექტის მისია, ხედვა და პრიორიტეტები ეფუძნება სამ ძირითად კომპონენტს: სამეცნიერო-სახელოვნებო რესურსის აღმოჩენასა და განვითარებას, ალტერნატიული შემოქმედებითი მიმართულებებისადმი მზარდი ინტერესის შენარჩუნებას, ასევე ახალგაზრდა ხელოვანთა სასტარტო მხარდაჭერის გაძლიერებას. პროექტი უნიკალურია, რადგან იგი რვა სხვადასხვა დარგს აერთიანებს.

კულტურის სფეროში მენეჯმენტის მკვლევრები კულტურულ პოლიტიკას ორგანიზაციული გარემოს ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად განიხილავენ, ხოლო მენეჯმენტის თეორია ხშირად სოციოლოგიის, საჯარო სექტორის მენეჯმენტის, შრომითი ურთიერთობებისა და ზოგადი მენეჯმენტის

კონტექსტში ვითარდება. თუმცა, ეკონომიკურ და დაფინანსების საკითხებზე გადაჭარბებული ფოკუსირების გამო, ხელოვნების ორგანიზებისა და მართვის ფუნქცია თანდათან ნაკლებ ყურადღებას იპყრობს.

სახელოვნებო პროექტებში ინვესტიციების, მეცენატეობისა და ფინანსური მხარდაჭერის სიმწირის პირობებში, კულტურის სფეროში მოქმედ მენეჯერს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არსებულ და პოტენციურ დამფინანსებლებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის შენარჩუნებაში.

ეკონომიკურად არასტაბილური გარემოს ფონზე, ალტერნატიული ხელოვნების მასშტაბების გაფართოება საჭიროებს დამატებით მხარდაჭერას, რაც ხელს შეუწყობს მრავალდარგობრივი სახელოვნებო პროდუქტის განვითარებისათვის მდგრადი პლატფორმის შექმნას. „წინანდლის პრემიას“ დღეს უკვე შეუძლია, გარკვეულწილად, ეკონომიკური კრიზისის პირობებში ახალგაზრდა ხელოვნების მხარდაჭერა, ფინანსური ჯილდოს ზრდა, ახალი მიმართულებების დამატება და სამეცნიერო-სახელოვნებო საკონკურსო კომისიების გაძლიერება.

**საკვანძო სიტყვები:** *კულტურის სფეროს პროდუქტი, ალტერნატიული პლატფორმები, კულტურის რესურსების მართვა, კულტურის სტრატეგია.*

კულტურის სფეროს პროდუქტი მრავალფუნქციურია და ის საკუთარ თავში, ამა თუ იმ დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, საზოგადოების ინტერესებს, საგანმანათლებლო-შემეცნებით შესაძლებლობებსა და ღირებულებებს აერთიანებს.

კულტურის მენეჯმენტისა და მარკეტინგის დისციპლინის ერთ-ერთი გამორჩეული თეორეტიკოსისა და ფუძემდებლის, ფრანსუა კოლბერის აზრით, ხელოვნების სფეროში მარკეტინგული პროცესი არა მომხმარებლის მოთხოვნით, არამედ თავად შემოქმედებითი პროდუქტით იწყება; შესაბამისად, მენეჯერის ამოცანა არა პროდუქტის ბაზარზე მორგება, არამედ იმ აუდიტორიის იდენტიფიცირებაა, რომლისთვისაც მოცემული ხელოვნების ნიმუში ღირებული იქნება: „კულტურის პროდუქტების უმეტესობა შესაძლოა განვსაზღვროთ, როგორც რთული, მითუმეტეს თუ ისინი მოითხოვენ სპეციალურ ცოდნას ან დაფუძნებულნი არიან აბსტრაქტულ გაგებაზე, რომლებიც მოითხოვენ მომხმარებელში იდეების შეფასების უნარებს. სირთულე იზრდება უფრო მეტად, თუ მომხმარებე-

ლი არ იცნობს გარკვეული ტიპის პროდუქტს“.<sup>1</sup>

„მიუხედავად კულტურის ცნების სხვადასხვა მიმართულების სისტემატიზაციის მცდელობისა, კულტურის ნებისმიერი გამოვლინება მითისა და ნარატივის გარეშე არ არსებობს...“<sup>2</sup> – და ამ მოსაზრების თანახმად, კულტურის რესურსების მართვას მუდამ ახალი ალტერნატიული ფორმების ძიება სჭირდება.

საქართველოში ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ალტერნატიული შემოქმედებითი პლატფორმის დარგობრივი კონკურსი „წინანდლის პრემია“, თავის მხრივ, ტრადიციულ და სახელმწიფოებრივ ინსტიტუციურად ნაცნობ მხარდაჭერის ფორმებთან შედარებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით და მართვის მოქნილობით ხასიათდება.

„ახალგაზრდა შემოქმედებისთვის პრემიის იდეა 1998 წელს წინანდალში ახალგაზრდა შემოქმედთა სემინარზე დაიბადა. ინიციატორი იყო „საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი“.<sup>3</sup> პროექტს თავიდანვე აქტიურად დაუჭირა მხარი პარლამენტის თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანია, რომლის პატრონაჟით ხორციელდებოდა როგორც ხელოვნების, ასევე მეცნიერების დარგებად დაყოფა. „წინანდლის პრემია“ პირველი ეკონომიკური პლატფორმის შემქმნელი პოლისისტემური პროექტი გახდა საქართველოში, რომელსაც არ გააჩნდა თემატური შეზღუდვები“.<sup>5</sup>

„წინანდლის პრემიის“ დაარსებამ კონკურსი ცალკე განშტოებად გადაიყვანა ახალ კალაპოტში: ალტერნატიული ხელოვნების მენეჯმენტის კონცეფცია ძირითადად ექვემდებარება სამეცნიერო კრიტიკულ ანალიზს. მაგრამ, ამავე დროს, რჩება პირდაპირი, ხისტი მართვის ფარგლებში, რომელიც მუდმივად მოთხოვნადია.

საქართველოში 90-იან წლებში არსებულმა კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კულტურის სფეროს განვითარებაზე. 2014 წელს სფეროში სტრატეგიული მიზნებისა და ხედვის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ კულტურის სფეროს აქტორები და დაინტერესებული მხარეები. კულტურის

1 კოლბერი, კულტურის, 2017, გვ. 37.

2 სანადირაძე, კოპალეიშვილი, კულტურის, 2019, გვ. 16.

3 საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის დებულება.

4 ზურაბ ჟვანია - საქართველოს IV მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე.

5 წინანდლის პრემია.

სახელმწიფო სტრატეგია საქართველოს კულტურის სამინისტრომ 2014-2016 წლებში შეიმუშავა და 2016 წლის 1 ივლისს მთავრობამ #303 დადგენილებით დაამტკიცა. პროექტში „კულტურის სტრატეგია 2025“ განსაზღვრულია სახელმწიფოს ხედვა, მიზნები და ამოცანები კულტურის სხვადასხვა დარგის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ „2025 წლის კულტურის სტრატეგიის“ დოკუმენტში, სხვა სტრატეგიულ მიზნებთან ერთად, კულტურული მრავალფეროვნებისა და სხვადასხვა კულტურათა შეუზღუდავი თვითგამოხატვის მიზნობრიობა 8 ამოცანად არის ჩაშლილი, მათ შორისაა „ამოცანები: კულტურისა და შემოქმედებითობის როლისა და პოტენციალის ახლებური გააზრებისა და წარმოჩენის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და აუდიტორიის განვითარების მიზნით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიისა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ინსტრუმენტების შემუშავება (მაგალითად, სხვადასხვა მიზნობრივი და გავლენის ჯგუფების ცნობიერების ამაღლების პროგრამები შემოქმედებითი აზროვნების და ინოვაციური მიდგომების განვითარების, სტრატეგიული დაგეგმვის სწავლების, „შემოქმედებითი ინკუბატორების“, დამწყები ბიზნესის - ეგრეთ წოდებული სტარტაპების ხელშეწყობის მექანიზმების და სხვ. შესახებ)“<sup>1</sup>.

ნებისმიერი პროექტის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორების შესწავლას და გამოყენებას, გამონაკლისი არც „წინანდლის პრემია“.

საქართველოში, წამყვანი ალტერნატიული სივრცის მაგალითის - „წინანდლის პრემია“ განსაკუთრებული მახასიათებელია მრავალდარგობრიობა. შესაძლებლობების აღმოსაჩენად საჭიროა ახალგაზრდა ხელოვანებთან და მეცნიერთა დიდ ნაწილთან უწყვეტი კონსულტაციები. 2025 წელს, მძიმე ეკონომიური კრიზისიდან გამომდინარე, აუცილებელია გახდა თვითდაფინანსების რეჟიმზე გადასვლა.

2025 წელს, გარე ცვლადების (სიტუაციური ცვლადები)<sup>2</sup> ზემოქმედების შედეგად, პროექტის მენეჯერებს დასჭირდათ უკვე ტრადიციულ კონკურსში, პრემიის პრეზენტაციის ნაწილის ცვლილებაც:

1 კულტურის სტრატეგია 2025.

2 PESTEL ანალიზი მოიცავს ისეთ სიტუაციურ ცვლილებებს, როგორებიცაა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, გარემოსდაცვითი და სამართლებრივი ფაქტორები.

მენეჯმენტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე წინასწარ მოსალოდნელი, სხვადასხვა იდეოლოგიური საზრისების მქონე პროექტის მონაწილეთა ინტერესების დაცვაზე.

აღნიშნული პროექტის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ სიტუაციური ცვლილებების ანალიზი მენეჯერს სჭირდება როგორც დაფინანსების პრობლემების გადასაჭრელად, ისე გამოწვევების პრაქტიკულად საპასუხოდ. ვინაიდან კონკურსის პროფესიული კონცეფცია მონათესავე დისციპლინების პრაქტიკას ითვალისწინებს, კერძოდ, საერთაშორისო პროექტებიდან ლინგვისტიკაში (რუსთაველის კონკურსი), სამართალიდან, ეკონომიკიდან და სოციოლოგიიდან, დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, ის საჭიროებს ლოჯისტიკურ კვლევას, რაც ყოველ წელს კიდევ და კიდევ უფრო რთულდება.

2024 წელს, „წინანდლის პრემიის“ შიდა კვლევამ მოახდინა ადრეულ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი ინტელექტუალური გავლენა მოახდინა პრემიის მდგრადობაზე. კულტურის სფეროში მოწინავე აზრის ლიდერებით დაკომპლექტებული დარგობრივი კომისიების მეშვეობით, მაკრო/მიკრო დონეზე არსებული გავლენები 2000-იანი წლებიდან დღემდე, „წინანდლის პრემიის“, როგორც პროექტის, განვითარებასა და ცნობადობის ზრდაზე აისახა. ალტერნატიული შემოქმედებითი პლატფორმების შექმნის ერთ-ერთი საგულისხმო ინდიკატორი მიზნობრივი ჯგუფებისა და დაინტერესებული მხარეების შესწავლაა.

უახლეს პერიოდში, 2024 წელს, ჩატარებული პროექტის მაგალითზე, დღეს უკვე შესაძლებელია ითქვას, რომ იგივე პროცესი ინერციით გრძელდება 2025 წლის კონკურსზეც. პროექტის მიზანმა გაამართლა. პრემიის მისია ხედვა და პრიორიტეტები პასუხობს სამ კომპონენტს: სამეცნიერო-სახელოვნებო რესურსის აღმოჩენა, მისი ალტერნატიული მაგალითებისადმი თანაბარი მზარდი ინტერესის შენარჩუნება, ასევე სასტარტო-საწყისი ხელშეწყობის გაღრმავება-გაზრდა. ამ პროექტს ანალოგი არ ჰყავს, ვინაიდან ის მდარჯს მოიცავს. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 18-30 წლის ახალგაზრდა მეცნიერებსა და შემოქმედებს; ნამუშევარს წარადგენს როგორც ავტორი, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, გამომცემლობები, შემოქმედებითი ორგანიზა-

ციები. წარადგენენ ბოლო 1 კალენდარული წლის განმავლობაში შექმნილ ან/და გამოქვეყნებულ ნაშრომებს. ნომინირებამდე, ნამუშევარი ცნობილი უნდა იყოს ფართო საზოგადოებისთვის; დარგები: თეატრალური ხელოვნება, კინოხელოვნება, პროზა, პოეზია, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, რომლებმაც ადრეულ პერიოდში არსებული ფოლკლორი ჩაანაცვლა. ნომინანტებს შეუძლიათ განმეორებით მიიღონ მონაწილეობა კონკურსში.

კულტურის სფეროში მენეჯმენტის მკვლევრები ძირითადად იცნობენ კულტურულ პოლიტიკას, როგორც ორგანიზაციული გარემოს ძირითად კომპონენტს, მენეჯმენტის თეორია კი ხშირად ვითარდება სოციოლოგიის, საჯარო სექტორის მენეჯმენტის, შრომითი ურთიერთობებისა და ზოგადი მენეჯმენტის ფარგლებში. თუმცა ეკონომიკაზე, დაფინანსების საკითხზე ფოკუსირების გამო, ხელოვნების ორგანიზებისა და მართვის ფუნქცია თანდათან კარგავს თავის ადგილს.

განათლებისა და კულტურის სფეროს ურთიერთკავშირის საფუძველზე გასათვალისწინებელია განათლებაში ჩადებული ინვესტიციების გრძელვადიანი გავლენები. „განათლებაში ჩადებული ყოველი დოლარი მშპ-ს 15-დან 20 დოლარამდე ზრდას იწვევს, რაც განათლებას ნებისმიერი ქვეყნისთვის ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან ინვესტიციად აქცევს. იუნესკოს ბოლოდროინდელი ანგარიშის თანახმად, 2030 წლისთვის სკოლის მიტოვების გამო გლობალური ეკონომიკისთვის წლიური ზარალი 10 ტრილიონ დოლარს მიაღწევს. ამ ფინანსური შედეგების გარდა, გასათვალისწინებელია მნიშვნელოვანი სოციალური შედეგებიც. საბაზისო უნარების არასაკმარისი შეძენა დაკავშირებულია მსოფლიოში ახალგაზრდა გოგონებში არასასურველი თინეიჯერული ორსულობის 69%-იან ზრდასთან“.<sup>1</sup> - მაშინ, პრემია - როგორც ხელოვნების ეკონომიკური გაძლიერებისა და წარმატებული პოზიციონირების შესაძლებლობა - ამ პრობლემის აღმოჩენას და პრევენციასაც შესაძლებელს ხდის.

როგორც „წინანდლის პრემიის“ მენეჯმენტის ფუნქციები, ისე კონკრეტული ეკონომიკური ინდიკატორები, განისაზღვრება ყო-

1 Финансирование развития: вопрос первостепенной важности для образования, культуры и науки.

ველწლიური შედეგით. მაგრამ ამ თემებზე არასაკმარისი კვლევა არსებობს და დღეს ჩვენ ამ მრავალდარგობრივი საგანმანათლებლო სახელოვნებო პროექტის მართვის თეორიულად შესწავლის ერთ-ერთ საწყის ეტაპზე ვართ, რომელმაც თავისი თვითრეგულირების მექანიზმების მეშვეობით უნდა უზრუნველყოს ხელოვნების საქმიანობის სასტარტო კულტურა, მეცნიერთა კომუნიკაცია და პრაქტიკოსთა ინტელექტუალური რესურსების რეპროდუქცია, ასევე წვლილი შეიტანოს მხარდაჭერის სისტემატიზაციაში. „წინანდლის პრემიის“ მთავარი და, შესაძლებელია ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე დიდი მისია დღესაც გახლავთ მეცნიერებისა და ხელოვნების რესურსის სასტარტო ისტორიის შექმნა. ამჟამად, სასტარტო და სადებიუტო წარმატებული ხელოვნების მენეჯმენტი მოითხოვს პროცესის ყველა ასპექტში ჩართულ პირებს, შექმნიდან და შესრულებიდან - პრეზენტაციამდე, ფინანსურ რესურსებს, სხვადასხვა კომპონენტის სრულყოფილ კოორდინაციას და ორგანიზებას. თანამედროვე პრემიების და სახელოვნებო კონკურსების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ, მაგალითად, ქუთაისსა და ოზურგეთში ჩატარებული, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული სახელოვნებო კონკურსების დიდი, უმრავლესი ნაწილი საერთოდ არ არის ორიენტირებული სასტარტო მოცემულობაზე. ასევე, ბუნდოვანია სახელოვნებო მენეჯმენტში, 30 წლამდე ასაკის ხელოვანთა და მეცნიერთა ცნობილი, თუნდაც მარტივ დონეზე განვითარებული სადებიუტო კონკურსები და პრემიები. თუ ისინი არსებობს, მაშინ, ძირითადად - მხოლოდ ეპიზოდურად. 2025 წლის შემოდგომაზე, ორგანიზაცია „მესამა“<sup>1</sup>, პირველად დააჯილდოვა სახელოვნებო სასწავლებლების სტუდენტები და ახალგაზრდები, ამით, მათ აკადემიურ მიღწევებს გაუსვა ხაზი. თუმცა, ამ მართლაც საჭირო ინიციატივაში, მაინც მთავარ სეგმენტად სტუდენტი ხელოვანები მოიაზრებიან. ძალზე რთულია სასტარტო კონკურსის ტრადიციის შენარჩუნება, სრულად საქართველოს მასშტაბით. შესაბამისად, თემის შესწავლისას ირკვევა, რომ

1 კულტურის განვითარების ფონდი „მესამა“ დაფუძნდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის გადაწყვეტილებით. ფონდი მხარს უჭერს ხელოვნების განვითარებას და შემოქმედების მხარდაჭერას. ახალთაობას აძლევს განვითარების შესაძლებლობას და ხელს უწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

„წინანდლის პრემია“ და მასთან ასოცირებული ღონისძიებები ერთადერთია საქართველოში, ორგანიზებულ და ყოველწლიურ ღონისძიებათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ გარემო ფაქტორების გამო, მისი ორგანიზება ყოველწლიურად რთულდება. რუსთაველის პრემია<sup>1</sup> კი პირს ენიჭება ლიტერატურის, მუსიკის, კინოხელოვნების, თეატრალური ხელოვნების, სახვითი ხელოვნების ან არქიტექტურის დარგში შექმნილი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის, რომლის მხატვრულმა ღირსებებმა საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვა და განმსჭვალულია პატრიოტიზმის, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით. პრემია გაიცემა 3 წელიწადში ერთხელ, არა უმეტეს ხუთისა, თითოეული 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. ამ პრემიების სტრუქტურული განვითარების შედარებისას ნათელი ხდება, რომ ორივე შემთხვევაში, სახელოვნებო და სამეცნიერო ფოკუსი უცვლელია, ისევე როგორც ინტერესებისა და მიზნების შინაარსის დეტალები: სახელოვნებო-სამეცნიერო დარგის განვითარების ხელშეწყობა, ხედვებისა და აღმოჩენების მრავალფეროვნებისადმი ინტერესი. მაგრამ „წინანდლის პრემიის“ შედეგების თანახმად, მისი ავტორების მკითხველი და დამთვალიერებელი ძირითადად ახალგაზრდები არიან, ხოლო „რუსთაველის პრემიის“ შედეგებით უფრო მეტად სამეცნიერო კვლევითი დარგის მოყვარულნი და სპეციალისტები ინტერესდებიან შედეგებით.

ჩვენ მივიჩნევთ ამ ტიპის ტრადიციული ღონისძიებების შედეგების შესახებ მშრალ ინფორმაციას, თუმცა, პრემიას გააჩნია შორეული რეზონანსიც - მისი ლაურეატების მიერ მოპოვებული მინიმალური თანხა და აღიარების ნაწილი. თანამედროვე საქართველოსთვის წარმატების ნიშნად იქცა. არსებობს ამ პრემიის გამოკვეთილი ხასიათიც - ალტერნატივა, ალტერნატიული ხედვა, ალტერნატიული ფიგურა ხელოვნებაში, ალტერნატიული სამეცნიერო-კვლევითი გზა, ალტერნატივა სამეცნიერო შრომაში და ასე შემდეგ. სხვა საკითხია, თუ რას ვგულისხმობთ ცნებაში „ალტერნატივა“ პრემიასთან მიმართებაში. ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ეს უკვე ხელოვნებაში, დრამატურგიაში, ლიტერატურაში დამკვიდრებული თხრობის ტრადიციის დარღვევა და ახალი გზით სიარულია. უფრო კონკრეტულები რომ ვიყოთ, ახალი დრამატურ-

<sup>1</sup>შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი გამოცხადდა.

გიული მეტაფორების დამკვიდრების, ან პოეზიაში ახალი უჩვეულო რითმითა და თემით მოსვლის მცდელობაა.

„კულტურის არასაბიუჯეტო დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო არის სპონსორობა, მეცენატობა, ქველმოქმედება, პატრონაჟი, შემოწირულობანი. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ქველმოქმედებისა და სპონსორობის მხარდაჭერა. იგი იყოფა მატერიალურად და მორალურად. მატერიალურ სტიმულირებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო შეღავათებს, ხოლო მორალურში საპატიო წოდებებისა და სახელმწიფო ჯილდოების მინიჭებას.

ქველმოქმედების, მეცენატობის და სპონსორობის მხარდაჭერა კულტურის სფეროში უნდა გახდეს სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკის პრიორიტეტი“.<sup>1</sup>

2000-იანი წლებიდან დღემდე, წინანდლის პრემია შეიცვალა ის გახდა მრავალდარგობრივი, მრავალპროფილური, დაჯილდოებისას ირჩევს სანახაობის წინა წლისაგან განსხვავებულ მხატვრულ ფორმას, დროდადრო გარემოებათა გათვალისწინებით უარყოფს ხალხმრავლობას და მშრალი კონსტატაციით შემოიფარგლება. მაგრამ მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, „წინანდლის პრემიას“ არ გააჩნია რეზონანსის სათანადო, სტრატეგიულად ბოლომდე გამართული სისტემა, რაც მას დეტალურად შეუნარჩუნებდა ისტორიას. შესაძლებელია, ეს არც არის პრემიის განვითარების მთავარი პრობლემა, თუმცა, ის, რომ ხელისშემშლელ ფაქტორთაგან ერთ-ერთია, ვფიქრობ, ეჭვს არ იწვევს. ასე მაგალითად, პრემიის დაჯილდოებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ სოცმედიაში გამომხატურებანი დაახლოებით სამი თვის ინტენსივობით გრძელდება, ხოლო შემდეგ ლაურეატთა ბიოგრაფიულად აუცილებელ ნახსენებ ფაქტებში გადაინაცვლებს. ეს სრულებითაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პროექტმა სათანადოდ განაგრძოს განვითარება. საბოლოოდ, ფაქტია, რომ კულტურულ-სამეცნიერო პროექტებს ჩვენს ქვეყანაში, ხელშემწყობთა ნაწილისთვის გარკვეულ ვალდებულებად ჩამოყალიბების პროცესიც არ გადაულახავს ჯერჯერობით. თუმცა, ამან შესაძლებელია პირიქით, დადებითი შედეგი მოიტანოს და ხარისხობრივად, ამრობრივად, თემატურად სხვა დონეზე წარმართოს პროცესები.

1 სანადირაძე, კულტურის, 2019, გვ. 128.

„მოგადად, კულტურის სტრატეგიების უმეტესობა მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- კულტურული შინაარსის შექმნა, წარმოება, გავრცელება და დაცვა/შენარჩუნება – როგორ უნდა მოხდეს აქტიური კულტურული ცხოვრების უზრუნველყოფა?
- შინაარსი და ინფრასტრუქტურა – როგორ დავიცვათ ბალანსი ისე, რომ შევინარჩუნოთ კულტურული ინფრასტრუქტურა და თან შევავსოთ იგი ადამიანებით და აქტივობებით?
- კულტურული ინსტიტუტები და არასამთავრობო სექტორის როლი – როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფო ინსტიტუტების მხარდაჭერა და ამავდროულად კერძო სექტორისა და დამოუკიდებელი აქტივობების განვითარებისთვის პირობების შექმნა?“.1

„წინანდლის პრემიის“ ფოლკლორის დარგი ჩაანაცვლა ჰუმანიტარულმა მეცნიერებებმა, ვინაიდან მოთხოვნა საკონკურსო განაცხადებისა შესამჩნევად გაიზარდა, გარეცვლადის მიზეზით. ეს სიახლე განხორციელდა ლაურეატების ფოკუსჯგუფებთან მუშაობის შედეგად, როდესაც გამოვლინდა დარგის მოთხოვნილება და მისი საჭიროება. ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ დეტალების დასაზუსტებლად, დარგის კონკურსის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, კონკურსანტები, კონკურსის დამთავრებისთანავე იწყებენ მომავალი პრემიისთვის მზადებას და კითხვების დასმას. შესაბამისად, მოლოდინი და მოთხოვნა ძალზე მაღალია. მუსიკალური მიმართულებით, ძირითადად, დარგის სპეციალობათა ჩაშლის – ვოკალისტების, შემსრულებლების და ასე შემდეგ მოთხოვნები დომინირებს. კონკურსანტებს სურთ ამ სპეციალობების ცალ-ცალკე გატანა საკონკურსოდ, თუმცა ჯერჯერობით ეს ცვლილება ვერ ხორციელდება (შესაძლებელია კიდევ მრავალი მაგალითის მოხიზნვა...).

მისი დამკვიდრებისა და ორგანიზების ყველაზე რთულ ნაწილში, ორგანიზატორებმა უარი თქვეს პრემიისთვის სავალდებულო მიზნების ერთგვარობაზე, რაც ეკონომიკური დაინტერესების მხრივ, რისკებს შეუქმნიდა პროექტს. ასე მაგალითად: მხოლოდ ერთი თემატური პრიორიტეტი, საბანკო და კომერციული სექტორის, მეცენატის სტატუსით დაინტერესებას კითხვის ნიშნის ქვეშ

1 კულტურა და კრეატიულობა, თანამედროვე კულტურის სტრატეგიის ძირითადი თემები.

დააყენებდა. სხვადასხვა სფეროში დარგების პრემიალურ დაფინანსებას უნივერსიტეტების და კომერციული სექტორის წარმომადგენლები ერთნაირად, ერთი და იმავე ინტერესით ახდენენ. თუმცა, ეს ზღვარი ჯერჯერობით დაბალია, მინიმალურია. ამიტომ, თავად პრემია საჭიროებს დაფინანსების გაზრდას. რას ნიშნავს თანამედროვე ეკონომიკური წნეხის პირობებში ყოველივე ეს პროექტისათვის? გარკვეულწილად დამოუკიდებლობას, არასტაბილურ გარემოში.

პრემიას კულტურის სფეროში აქვს წამახალისებელი ფუნქცია დამწყები ხელოვანებისთვის. მიზნობრივი დანიშნულება ხუთი ათასი, ან სამი ათასი ლარის ოდენობით მოპოვებული პრემიისა, ბუნებრივია, მისი, როგორც დიდი პროექტების ინვესტიციად განხილვის საშუალებას არ გვაძლევს. შესაბამისად, „Free Zone“ შექმნის პრინციპით, კონკურსმა დაიკავა სასტარტო ეკონომიკური ნაბიჯის ფრონტალური ხაზი და თავისი თემატური დიაპაზონით (შეუზღუდავი) ინარჩუნებს ამ პოზიციებს.

სახელოვნებო პროექტებში ინვესტიციების, მეცენატებისა და ფინანსურ მხარდამჭერთა სიმწირე კულტურის სფეროში მოქმედ მენეჯერისგან ითხოვს არსებულ და პოტენციურ დამფინანსებლებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის შენარჩუნებას. ეკონომიკურად არამდგრადი სიტუაციის ფონზე, წინანდლის პრემიას გააჩნია ალტერნატიული ხელოვნების მასშტაბების მაქსიმალურად გაზრდის იდეა, რაც თავისთავად შექმნის მრავალდარგობრივი ხელოვნების პროდუქტის საცავს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ პროექტ „წინანდლის პრემიას“ დღეს შეუძლია გარეშე ეკონომიკური კრიზისისაგან ახალგაზრდა ხელოვანების „გადაზღვევა“ და ფინანსური ჯილდოს გაზრდა, მიმართულებების დამატება და შემდგომში სამეცნიერო-სახელოვნებო დარგების საკონკურსო კომისიის შემადგენლობების გაძლიერება, დარგის სპეციალისტების უფრო კონკრეტული სპეციალობების მიმართულებით: დრამატურგია, რეჟისურა და სამსახიობო ხელოვნება ცალ-ცალკე. იგივე პრინციპი იქნებოდა გამოყენებული სხვა დარგებში. ფაქტია, რომ ალტერნატიული აზროვნების ფორმები არა მარტივ, არამედ სისტემატყვეს მხარდაჭერას ითხოვს, თუნდაც ამ მცირე მოცულობის ანალიზიდან გამომდინარე, პრემიის არა ერთი, არამედ ორივე მიმართულებით

განვითარება ხდება საჭირო – ფორმის და თემის მიმართულებით. დღეს, „წინანდლის პრემია“ საწყისი ნაბიჯის, იმედისა და შეუცვლელი ფუნქციის მატარებელია ახალგაზრდებისათვის.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ახალგაზრდების საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე, ახალგაზრდობის სააგენტო, 2020.
- ზურაბ ჟვანიას ფონდი, წინანდლის პრემია. <https://www.zurabzhvania.ge/winandlis%20premia.html> 17/06/2025
- კულტურის სტრატეგია 2025. კულტურის-სტრატეგია-2025.pdf 17/06/2025
- კოლბერი ფ., კულტურის და ხელოვნების მარკეტინგი, თბ., 2017.
- სანადირაძე ნ., კოპალეიშვილი ნ., კულტურის სფეროს მენეჯმენტი, თბ., 2019.
- ფრიდრიხ ებერტის ფონდი, ახალგაზრდების კვლევა, დამოუკიდებელი საქართველოს თაობა, თბ., 2023.
- შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი გამოცხადდა, 2024. შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი გამოცხადდა | საინფორმაციო სააგენტო “ინტერპრესნიუსი” 17/06/2025
- ჯანელიძე ბ., ახალგაზრდობის კვლევის კრიტიკისათვის, 2017. ბაია ჯანელიძე: ახალგაზრდობის კვლევის კრიტიკისათვის – European.ge 19/05/2026

## ART MANAGEMENT AND CULTURAL TOURISM

**Medea Kurashvili,**  
Shota Rustaveli Theatre and Film State University of Georgia  
Doctoral Program in Arts Management and Cultural Policy  
Doctoral Student,  
Academic Supervisor, Associate Professor: Dodo Chumburidze

### ALTERNATIVE CREATIVE PLATFORMS IN THE CULTURAL SPHERE (The Case of the „Tsinandali Award“)

*Keywords: cultural sector project, alternative platforms,  
cultural resource management, cultural strategy.*

#### Abstract

This article examines the development of alternative creative platforms and industry-specific competitions in Georgia's cultural sphere over the past twenty-five years, with particular focus on the „Tsinandali Award“ - a competition distinguished by its high level of public interest and its flexible governance model. Managing change is currently one of the central challenges facing cultural managers. In 2025, due to the influence of external factors, project managers were compelled to implement significant changes to the competition's traditional format, including its award presentation component.

An internal study of the „Tsinandali Award“ conducted in 2024 had a considerable intellectual impact on the project's sustainability. The project's mission, vision, and priorities rest on three core components: the discovery and development of scientific and artistic resources; the cultivation of growing interest in alternative creative directions; and the strengthening of start-up support for young artists.

The project is unique in that it brings together eight distinct disciplines. Management researchers regard cultural policy as one of the principal components of the organizational environment, while

management theory frequently evolves within the contexts of sociology, the public sector, labor relations, and general management. However, a persistent problem is that excessive focus on economic and funding concerns has gradually drawn attention away from the functions of organizing and managing the arts.

In an environment marked by a scarcity of investment, patronage, and financial support for artistic projects, the cultural manager assumes a particularly important role in maintaining long-term partnerships with existing and potential funders. Against a backdrop of economic instability, expanding the reach of alternative arts requires additional support – support that would help establish a sustainable platform for the development of multi-disciplinary artistic output.

The „Tsinandali Award“ today demonstrates a capacity to support young artists in times of economic crisis, through increased financial awards, the addition of new disciplines, and the strengthening of its scientific and artistic adjudication panels.

From the 2000s to the present, the „Tsinandali Award“ has undergone considerable transformation: it has become multi-disciplinary and multi-profile; it adopts a different artistic format for its award ceremony each year; and when circumstances require, it occasionally forgoes large public gatherings and confines itself to a modest formal announcement. Nevertheless, despite all of this, the „Tsinandali Award“ still lacks a fully developed, strategically coherent system of resonance – one that would preserve its history in detail. This may not be the primary obstacle to the award’s development, but it is difficult to argue that it is not among the factors hindering its progress. For instance, social media engagement with the award ceremony and its significance tends to sustain a certain intensity for approximately three months, after which it retreats into the biographical footnotes of the laureates.

This is far from sufficient for the project to continue developing in a meaningful way. Ultimately, it remains a fact that cultural and scientific projects in our country have yet to complete the process of becoming a recognized obligation, even for a portion of their potential supporters. Yet this very gap might, conversely, yield a positive

outcome, redirecting processes to a qualitatively and conceptually higher level.

Against the backdrop of economic instability, the „Tsinandali Award“ aims to expand alternative arts to the greatest possible scale – an endeavor that would in itself create a repository of multidisciplinary artistic output.

In conclusion, it is evident that alternative forms of thinking require not ad hoc support, but support that has been organized into a coherent system. Even from this brief analysis, it becomes clear that awards must develop not in one direction, but in many – in terms of both form and subject matter.

The article also discusses literary awards such as „Saba“, „Mesma“, „Litera“, „The Rustaveli Award“, and many other projects still in their early stages – each of which, as an initial step, carries with it a sense of hope and fulfills an irreplaceable function for young people.